



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

21.03.2025

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	7
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	7
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	17
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	25
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	27
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	33

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დევიძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ტურიზმი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Tourism
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ტურიზმის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება Travel, Tourism and Leisure
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული თარიღი - 10/01/2019 გადაწყვეტილების ნომერი - 07
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებას ტურიზმის დინამიურად განვითარებად სფეროში. პროგრამა ანიჭებს კურსდამთავრებულებს ტურიზმის ბაკალავრის (Bachelor of Tourism) კვალიფიკაციას და ხორციელდება ქართულ ენაზე ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე.

პროგრამა შედგება 240 კრედიტისგან, რომელიც გადანაწილებულია 8 სემესტრზე (4 აკადემიური წელი). პროგრამის სტრუქტურა მოიცავს თავისუფალ კომპონენტს - ზოგად მოდულს (60 კრედიტი), ძირითად სწავლის სფეროს (120 კრედიტი) და თავისუფალ კომპონენტს/დამატებით სპეციალობას (60 კრედიტი). ძირითადი სწავლის სფერო თავის მხრივ მოიცავს სავალდებულო კურსებს (96 კრედიტი), სავალდებულო-არჩევით კურსებს (მინიმუმ 6 კრედიტი), პრაქტიკის მოდულს (6 კრედიტი) და არჩევით კურსებს (მინიმუმ 12 კრედიტი).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზანია, სტუდენტებს შესძინოს ტურიზმის ინდუსტრიის მართვასთან დაკავშირებული საბაზო ცოდნა და უნარები, ასევე გამოუმუშავოს ტურისტული სერვისის ან პროდუქტის დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების კომპეტენციები, მდგრადი მიდგომების გათვალისწინებითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გარდა ამისა, პროგრამა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას დაეუფლონ მეწარმეობის პრინციპებს და განივითარონ ისეთი ტრანსფერული უნარები, როგორცაა: არგუმენტაცია, რაოდენობრივი მსჯელობა, კომუნიკაცია და აკადემიური მუშაობა.

სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები, როგორებიცაა: ლექცია, სემინარი, შემთხვევის ანალიზი, პრაქტიკული და ჯგუფური მუშაობა, შებრუნებული საკლასო ოთახი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, როლური თამაშები, პრეზენტაციები და სხვა. ეს მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ ტურიზმის სფეროს სხვადასხვა სექტორში, საჯარო თუ კერძო ორგანიზაციებში, რაც ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და დასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარებას.

პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ ტურიზმის სფეროს კერძო კომპანიებში (სასტუმროები, ტუროპერატორები, ტურისტული სააგენტოები, ღონისძიებების მართვის ორგანიზაციები), საჯარო სექტორის სხვადასხვა მმართველობით პოზიციებზე (ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები), ან განაგრძონ სწავლა უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

შეფასდა პირველი, მეორე სტანდარტი და მეოთხე სტანდარტის 4.1 და 4.3 კომპონენტები უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები შეესაბამება მოთხოვნებს.

▪ რეკომენდაციები

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი, მულტიდისციპლინური ცოდნითა და პროფესიული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტები ტურიზმის სფეროში, რაც სრულად შეესაბამება თანამედროვე ტურიზმის ინდუსტრიის მოთხოვნებს.

პროგრამა სრულად ითვალისწინებს სწავლის სფეროს, სწავლების საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს. კურიკულუმის სტრუქტურა და შინაარსი მორგებულია ტურიზმის ბაკალავრიატის სწავლებისთვის საჭირო კომპონენტებს - თავისუფალ საგნებს, ძირითად და დამატებით სპეციალობებს, პრაქტიკასა და კვლევით კომპონენტებს.

პროგრამაში ნათლად არის აღწერილი, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს. სასწავლო შედეგები ლოგიკურად არის გადანაწილებული სხვადასხვა კურსებსა და მოდულებში და შეესაბამება ტურიზმის დარგში მოთხოვნად ცოდნასა და უნარებს, მათ შორის ტურიზმის მართვის, სერვისის, მეწარმეობისა და კვლევის კომპეტენციებს.

პროგრამა ხელს უწყობს ტურიზმის დარგისა და ზოგადად საზოგადოების განვითარებას ინდუსტრიისთვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებით, სტუდენტების ინტელექტუალური და აკადემიური უნარების განვითარებით, კვლევითი უნარების ჩამოყალიბებით, რაც პასუხობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს.

პროგრამის მიზნები და შედეგები თანხვედრაშია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც ცოდნის შექმნას, გადაცემასა და გამოყენებას ისახავს მიზნად მეცნიერების წინსვლისა და საზოგადოების განვითარებისთვის. პროგრამა ამზადებს კომპეტენტურ სპეციალისტებს ტურიზმის დარგში, ხელს უწყობს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას და უზრუნველყოფს მათი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას ტურიზმის სექტორის ხელშესაწყობად.

შეჯამების სახით, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა აკმაყოფილებს ყველა მოცემულ კრიტერიუმს, შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და წარმატებით ემსახურება როგორც სტუდენტების პროფესიულ განვითარებას, ასევე ქვეყანაში ტურიზმის დარგის წინსვლას. პროგრამა ლოგიკურად არის აგებული და მიმართულია დასახული მიზნების შესრულებისკენ.

პროგრამა საჯაროდა ხელმისაწვდომია (იხ ბმული: <https://bte.iliauni.edu.ge/education/bachelor/>)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;
- უსდ-ს მისია;
- უსდ-ს ვებგვერდი <https://bte.iliauni.edu.ge/education/bachelor/> .

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

პროგრამის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს ტურიზმის დარგისთვის საჭირო ძირითად ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. შედეგები ფარავს ტურიზმის სექტორის მულტიდისციპლინურ ასპექტებს, მათ შორის, ტურიზმის მენეჯმენტს, მომსახურების მიწოდებას, მდგრად განვითარებას, ტურისტული პროდუქტების შემუშავებას, მეწარმეობას, კვლევით უნარებს. პროგრამა ასევე ითვალისწინებს კურსდამთავრებულებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის განვითარებას.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები მჭიდროდ უკავშირდება და ლოგიკურად გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან. პროგრამის მიზანი - მოამზადოს კონკურენტუნარიანი პროფესიონალები ტურიზმის დარგში მულტიდისციპლინური ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით - აისახება სწავლის შედეგებში. კერძოდ:

- პროგრამის მიზანი, შეასწავლოს სტუდენტებს ტურიზმის ინდუსტრიის მართვასთან დაკავშირებული საბაზო ცოდნა და უნარები, რეალიზებულია შესაბამისი შედეგებში, რომლებიც ითვალისწინებს ტურიზმის სფეროს არსებული თეორიების, კონცეფციებისა და მიდგომების ცოდნას, ტურისტული კომპანიების მართვის პროცესებში მონაწილეობის უნარს.
- პროგრამის მიზანი, მისცეს სტუდენტებს ტურისტული სერვისების დაგეგმვის, განხორციელებისა და მართვის უნარები მდგრადი მიდგომებითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ასახულია შედეგებში, რომლებიც უზრუნველყოფს ტურისტული პროდუქტების შემუშავებასა და მართვას, პრობლემების გადაჭრას დარგში აპრობირებული მეთოდებით.
- მეწარმეობის პრინციპების დაუფლების მიზანი რეალიზდება შესაბამისი შედეგით, რომელიც ითვალისწინებს ბაზარზე ახალი პროდუქტისა და სერვისის შეთავაზების უნარს მეწარმეობის საბაზო ცოდნის საფუძველზე.
- პროგრამის მიზანი, განუვითაროს სტუდენტებს ინტელექტუალური და ტრანსფერული უნარები, ასახულია შედეგებში, რომლებიც გულისხმობს რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევით უნარებს, ეფექტური კომუნიკაციის, არგუმენტაციის, ავტონომიურად და გუნდურად მუშაობის უნარებს.
- ზოგადად, პროგრამის მიზნები სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის შესახებ ასახულია შედეგებში, რომლებიც ითვალისწინებს ტურიზმის სექტორისთვის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებას.

ამრიგად, პროგრამის თითოეული მიზანი სათანადოდ არის ასახული სწავლის შედეგებში. შედეგები კონკრეტულად გადმოსცემს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია პროგრამის მიზნების მისაღწევად. ეს თანხვედრა ადასტურებს, რომ სწავლის შედეგები არის რელევანტური, მიღწევადი და ორიენტირებული პროგრამის მიზნების რეალიზებაზე.

პროგრამის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. თითოეული შედეგისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომლებიც ფასდება კონკრეტული კრიტერიუმებითა და მეთოდებით. შედეგები დაბალანსებულია პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობასთან და რეალურად მიღწევადია სტუდენტების მიერ.

პროგრამის შედეგები შეესაბამება ბაკალავრიატის კვალიფიკაციის დონეს ტურიზმის მიმართულებით. შედეგები ითვალისწინებს დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების ერთობლიობას, რომლებიც ახასიათებს ტურიზმის ბაკალავრის კვალიფიკაციას. შედეგები ასევე დეტალურად აღწერს ტურიზმის შესაბამის სფეროს და თანხვედრაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამის შედეგები შეესაბამება ტურიზმის სფეროში დასაქმებისთვის აუცილებელ მოთხოვნებს. კურსდამთავრებულები შეიძენენ დასაქმებისთვის საჭირო ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს და მზად იქნებიან წარმატებული კარიერისთვის ტურიზმის მრავალფეროვან სექტორში, მათ შორის როგორც კერძო, ისე საჯარო დაწესებულებებში. პროგრამის შედეგები ასევე იძლევა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას უმაღლესი განათლების შემდეგ, მაგისტრატურის საფეხურზე.

დასკვნის სახით, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის შედეგები შეესაბამება მოცემულ კრიტერიუმებს, არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, გაზომვადი და რეალისტური. შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან და კვალიფიკაციის დონესთან, შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასაქმების პერსპექტივებს და იძლევა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის შედეგების ამგვარი ფორმულირება ქმნის მყარ საფუძველს ხარისხიანი და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისთვის.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა და შეესაბამება ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, რომლებიც თავის მხრივ შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე.

კერძოდ, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი პასუხობს დარგობრივი მახასიათებლის შესაბამის მოთხოვნას:

1. სწავლის შედეგი, რომ კურსდამთავრებული აღწერს ტურიზმის სფეროს არსებით ფაქტორებს, კონცეფციებს, პროცესებს შეესაბამება დარგობრივ მოთხოვნას ტურიზმის სფეროს თეორიების, მართვის პრინციპების ცოდნის შესახებ.
2. სწავლის შედეგი სხვადასხვა ასპექტების განხილვის შესახებ პასუხობს დარგობრივ სტანდარტს, რომ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს ტურიზმის მრავალმხრივი ანალიზი.
3. შედეგი საქართველოს ტურისტული რესურსების შეფასების შესახებ ეხმიანება დარგობრივ მოთხოვნას ტურიზმის სფეროში არსებული რესურსების იდენტიფიცირების უნარის ჩამოყალიბებაზე.
4. ორგანიზაციული პროცესების მართვის უნარები, ასახული პროგრამის შესაბამის შედეგში, ეთანადება დარგობრივ მოთხოვნას ტურიზმთან დაკავშირებულ ორგანიზაციებში მენეჯერული საკითხების ცოდნის დემონსტრირების შესახებ.
5. პრობლემების ანალიზისა და გადაჭრის უნარები პასუხობს დარგობრივ მოთხოვნებს ტურიზმის სფეროში პრობლემებზე რეაგირების და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების კომპეტენციის განვითარებაზე.
6. აპრობირებული მეთოდების გამოყენების უნარი ითვალისწინებს დარგობრივ მოთხოვნას სათანადო ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ ტურისტული საქმიანობის განხორციელების პროცესში.
7. კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი, ასახული პროგრამის შესაბამის შედეგში, ეთანადება დარგობრივ მოთხოვნას კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარების შესახებ.
8. კომუნიკაციის უნარები, გათვალისწინებული პროგრამის სწავლის შედეგებში, პასუხობს დარგობრივ სტანდარტს ეფექტური ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციის დამყარების შესახებ.
9. პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარები პირდაპირ გამომდინარეობს დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი მოთხოვნებიდან.

ამგვარად, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა არა მარტო ეყრდნობა, არამედ ითვალისწინებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს, რაც ადასტურებს პროგრამის მიზნებისა და შედეგების ჩამოყალიბების სიზუსტესა და რელევანტურობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;
- ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლიდს შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ითვალისწინებს თითოეული შედეგის შეფასებას კონკრეტული სასწავლო კომპონენტის (საგნის) ფარგლებში, რაც მეტყველებს შეფასების ინტეგრირებულ ხასიათზე სასწავლო პროცესთან. ეს საშუალებას იძლევა შედეგების მიღწევა შეფასდეს რეალურ სასწავლო აქტივობებზე დაყრდნობით.

შეფასების ინსტრუმენტები, როგორცაა დასკვნითი და შუალედური გამოცდები, პროექტის პრეზენტაცია, რელევანტურია სწავლის შედეგების შესამოწმებლად. შეფასების პერიოდულობა გაწერილია კონკრეტული სემესტრების მიხედვით და შედეგების თანმიმდევრულად და სისტემატურად შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია სტუდენტთა 70%-ის მიერ შეფასების მინიმუმ 50%-ის აღებით, რაც სტანდარტული მიდგომაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის პროგრამის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები;
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა წარმოადგენს კომპლექსურ და კარგად სტრუქტურირებულ საგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს, რაც სრულად შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს საქართველოში. პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად და კრედიტები განაწილებულია ლოგიკურად - 60 კრედიტი გამოყოფილია ზოგადი მოდულისთვის, 120 კრედიტი ეთმობა ძირითად სწავლის სფეროს, ხოლო 60 კრედიტი განკუთვნილია თავისუფალი კომპონენტის ან დამატებითი სპეციალობისთვის.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ "ტურიზმის ბაკალავრის" კვალიფიკაციასთან. პროგრამის მთავარი მიზანია კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადება ტურიზმის დარგში. სწავლის შედეგები მოიცავს ტურიზმის სფეროს ძირითადი ასპექტების ცოდნას, ტურისტული სერვისებისა და პროდუქტების შემუშავების უნარებს, მეწარმეობისთვის საჭირო კომპეტენციებს და კვლევით უნარებს. პროგრამაში შემავალი კურსები, როგორცაა მენეჯმენტის საფუძვლები, ტურიზმის შესავალი, სასტუმროს მენეჯმენტი და სხვა, პირდაპირ არის დაკავშირებული მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

ძირითადი სწავლის სფეროს მოდულები ლოგიკურად არის ორგანიზებული და მოიცავს სავალდებულო კურსებს (96 კრედიტი), სავალდებულო-არჩევით კომპონენტს (6 კრედიტი), პრაქტიკას (6 კრედიტი) და არჩევით კურსებს (12 კრედიტი). ამ მოდულების სწავლის შედეგები, როგორცაა ტურიზმის მენეჯმენტის, ტურისტული პროდუქტის განვითარებისა და პრაქტიკული კურსების ცოდნა, უშუალოდ უკავშირდება პროგრამის ზოგად მიზნებს.

პროგრამის სტრუქტურა ხასიათდება მაღალი თანმიმდევრულობით. კურსების თანმიმდევრობა ლოგიკურია და წინაპირობები ადეკვატურად არის განსაზღვრული. საბაზისო კურსები, როგორცაა ტურიზმის შესავალი და მენეჯმენტის საფუძვლები, წინ უსწრებს უფრო სპეციალიზებულ კურსებს, როგორცაა ტურიზმის მენეჯმენტი და ტურისტული პროდუქტის განვითარება. ინგლისური ენის კურსები (I-IV) წარმოადგენილია თანმიმდევრული პროგრესით, რაც უზრუნველყოფს ენობრივი კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას. პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი უზრუნველყოფილია

ადეკვატური წინაპირობებით, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას ეფექტურად გამოიყენონ თეორიული ცოდნა პრაქტიკულ გარემოში.

ამ ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა შინაარსობრივად, სტრუქტურულად და მეთოდოლოგიურად შეესაბამება საბაკალავრო სწავლების საფეხურს და კარგად არის ორგანიზებული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კომპეტენციების განსავითარებლად.

კურსების თანმიმდევრობასა და წინაპირობებთან დაკავშირებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში შეინიშნება ლოგიკური და ადეკვატური სტრუქტურა. პროგრამა აგებულია ცოდნის თანდათანობითი დაგროვების პრინციპზე, სადაც საბაზისო კურსები წარმოადგენს წინაპირობას უფრო რთული და სპეციფიკური საგნებისთვის.

ძირითადი კურსების წინაპირობების იერარქია კარგად არის ორგანიზებული, სადაც "ტურიზმის შესავალი" წარმოადგენს საბაზისო კურსს, რომელიც წინაპირობაა მრავალი სპეციალიზებული კურსისთვის, როგორებიცაა "ტურიზმის მენეჯმენტი", "საქართველოს ტურისტული რესურსები", "სასტუმროს მენეჯმენტი", "სატრანსპორტო ინდუსტრია ტურიზმში", "სარესტორნო საქმიანობისა და კვების მომსახურების მენეჯმენტი" და "ტურიზმის პოლიტიკა". თავის მხრივ, "ტურიზმის მენეჯმენტი" ხდება წინაპირობა კიდევ უფრო სპეციალიზებული კურსებისთვის, როგორებიცაა "ტუროპერირება და ტურისტული სააგენტოს მენეჯმენტი" და "სამკურნალო ტურიზმი და კურორტების მენეჯმენტი".

ფინანსურ-მათემატიკური საგნების ლოგიკური ჯაჭვი ასევე კარგად არის ორგანიზებული. "მათემატიკა ბიზნესისთვის" წარმოადგენს წინაპირობას "სტატისტიკის საფუძვლებისთვის", რომელიც, თავის მხრივ, წინაპირობაა "ფინანსების საფუძვლებისთვის". გარდა ამისა, "სტატისტიკის საფუძვლები" წინაპირობაა "შესავალი ბიზნესის კვლევის მეთოდებში" კურსისთვის, რაც უზრუნველყოფს კვლევითი უნარების განვითარებას მყარ სტატისტიკურ საფუძველზე.

პრაქტიკული კურსების წინაპირობები ასევე გამართულია. "პრაქტიკა" და "ტურიზმის პრაქტიკული კურსი" მოითხოვს სტუდენტს გავლილი ჰქონდეს რამდენიმე ძირითადი კურსი, მათ შორის "ტურიზმის მენეჯმენტი", "სარესტორნო საქმიანობისა და კვების მომსახურების მენეჯმენტი", "სასტუმროს მენეჯმენტი" და "საქართველოს ტურისტული რესურსები". ეს უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს პრაქტიკის დაწყებამდე აქვთ საკმარისი თეორიული ცოდნა რეალურ გარემოში მუშაობისთვის.

მეწარმეობის კურსების თანმიმდევრობა - "ბიზნესის საფუძვლები", "მეწარმეობა" და შემდეგ "მეწარმეობის პრაქტიკული კურსი" - უზრუნველყოფს ბიზნესის ცოდნის თანდათანობით გაღრმავებას, სადაც თეორიული ცოდნა თანდათან გადადის პრაქტიკულ უნარებში.

სპეციალიზებული არჩევითი კურსების წინაპირობებიც ლოგიკურად არის განსაზღვრული. მაგალითად, "გეოსაინფორმაციო სისტემები ტურიზმში" და "აგროტურიზმი" მოითხოვს "ტურიზმის შესავალი" და "საქართველოს ტურისტული რესურსები", რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს აქვთ საბაზისო ცოდნა ვიდრე უფრო სპეციფიკურ სფეროებში გადავლენ.

ინგლისური ენის კურსები (I-IV) ლოგიკურად მიჰყვება ერთმანეთს, რაც უზრუნველყოფს ენობრივი კომპეტენციის თანმიმდევრულ განვითარებას. ასევე, "ბიზნეს ინგლისური I" წარმოადგენს წინაპირობას "ბიზნეს ინგლისური II"-სთვის.

მარკეტინგის კურსების ჯაჭვიც ეფექტურად არის ორგანიზებული. "მარკეტინგის საფუძვლები" წინაპირობაა მრავალი სპეციალიზებული კურსისთვის, როგორებიცაა "ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების საფუძვლები", "საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები", "ციფრული მარკეტინგის საფუძვლები", "მომსახურების მარკეტინგის საფუძვლები" და "შესავალი ბრენდინგში".

ოპერაციული მენეჯმენტის სფეროში "ოპერაციული მენეჯმენტის საფუძვლები" წარმოადგენს წინაპირობას "მიწოდების ჯაჭვის მართვისთვის", ხოლო საბაკალავრო ნაშრომისთვის წინაპირობაა "შესავალი ბიზნესის კვლევის მეთოდებში", რაც უზრუნველყოფს სტუდენტებს კვლევითი კომპეტენციებით ნაშრომის დაწყებამდე.

ეს წინაპირობები უზრუნველყოფს ცოდნის თანმიმდევრულ და ლოგიკურ აკუმულაციას. საბაზისო საგნების გავლის შემდეგ სტუდენტები აგრძელებენ სპეციალიზებულ კურსებზე, რომლებიც ეფუძნება უკვე მიღებულ ცოდნას. ასეთი სტრუქტურა ხელს უწყობს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევასა და დარგობრივი კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;
- კურსების კატალოგი და სემესტრული განაწილება.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტების შესწავლა აჩვენებს, რომ ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურიკულუმის დოკუმენტში განსაზღვრული პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც მოიცავს ტურიზმის სფეროს ძირითადი ასპექტების ცოდნას, ტურისტული სერვისებისა და პროდუქტების შემუშავების უნარებს, მეწარმეობის კომპეტენციებს და სხვადასხვა ტრანსფერულ უნარებს, ლოგიკურად არის ასახული თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში.

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. მაგალითად, "ტურიზმის პრაქტიკული კურსის" სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი კურსის შინაარსი, რომელიც მოიცავს სასტუმროს მართვის, რესტორნის მართვისა და ტურისტული რესურსების გაციფრულების პრაქტიკულ საკითხებს. ეს შინაარსი პირდაპირ კავშირშია კურსის სწავლის შედეგებთან, რომლებიც გულისხმობს დარგობრივი ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, ინფორმაციის მოძიებას, ანალიზსა და გამოყენებას, ეთიკური ნორმების დაცვას და ეფექტურ კომუნიკაციას.

პროგრამის ფარგლებში, თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები ძირითადად 6 კრედიტიანია, რაც საკმარისია ამ კურსების შინაარსის სრულფასოვნად დასაფარად და სწავლის შედეგების მისაღწევად. ამასთან, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას.

მაგალითად, "ტურიზმის პრაქტიკული კურსის" შემთხვევაში, 6 კრედიტიანი კურსი მოიცავს 32 საათის საკონტაქტო დატვირთვას (24 საათი პრაქტიკული მუშაობა, 6 საათი შუალედური შეფასება, 2 საათი დასკვნითი გამოცდა) და 118 საათის დამოუკიდებელ მუშაობას. ეს თანაფარდობა შეესაბამება კურსის პრაქტიკულ ხასიათს და უზრუნველყოფს სტუდენტებს საკმარისი დროით როგორც პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის, ასევე თეორიული ცოდნის გასამყარებლად.

საკონტაქტო საათების რაოდენობა თითოეული კურსისთვის შეესაბამება ამ სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ტურიზმის პროგრამაში სავალდებულო კურსების საკონტაქტო საათების რაოდენობა მერყეობს 30-დან 48 საათამდე, რაც განისაზღვრება კურსის სპეციფიკის, სირთულისა და პრაქტიკული კომპონენტის მოცულობის გათვალისწინებით. მაგალითად, "შესავალი ბიზნესის კვლევის მეთოდებში" და "მეწარმეობის პრაქტიკული კურსი" მოიცავს 48 საკონტაქტო საათს, რაც განპირობებულია ამ კურსების კომპლექსური ხასიათით და პრაქტიკული კომპონენტის სიმრავლით.

სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება შეფასების მრავალფეროვანი მეთოდებით. "ტურიზმის პრაქტიკული კურსის" შემთხვევაში, შეფასების კომპონენტები მოიცავს აქტივობას (15 ქულა), შუალედურ შეფასებებს (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (25 ქულა). თითოეული კომპონენტისთვის დეტალურად არის გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია კურსის სწავლის შედეგებთან. მაგალითად, შეფასდება აკადემიური ცოდნის გამოყენება სამუშაო გარემოში, კონტრიბუცია ორგანიზაციის საქმიანობაში, პრაქტიკის გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულება, პროფესიული უნარების განვითარება და ანგარიშის სტრუქტურა.

პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. "ტურიზმის პრაქტიკული კურსის" შემთხვევაში, ძირითადი რესურსებია ოპერაციული სისტემები (Arealy, Poster, Siteminder, Mius, Opera, Syrve), რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტებს პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის საჭირო ინსტრუმენტებით. ეს რესურსები თანამედროვე ტურისტული ინდუსტრიის სტანდარტებს შეესაბამება და სტუდენტებს ამზადებს რეალურ სამუშაო გარემოში წარმატებული საქმიანობისთვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსი გააზრებულად არის სტრუქტურირებული. კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო კურსების შინაარსი, კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა, შეფასების მეთოდები და სასწავლო მასალა ერთობლიობაში უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა უნდა გაიაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები, რომლებიც ტარდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული რეგულაციების თანახმად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

უსდ- წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც ასახავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა კვლევით პროექტებსა და სამეცნიერო კონფერენციებში 2023-2024 წლებში. დოკუმენტში აღწერილია ხუთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომლებიც მოიცავს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებს.

პირველი ღონისძიება არის 2024 წლის ნოემბერში გამართული სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია "საქართველოს კურორტების განვითარების მომავალი", რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ კურორტების განვითარების სააგენტოს მიერ. კონფერენციის დასკვნით ეტაპზე გადავიდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის მიმართულების შვიდი სტუდენტი, ხოლო ერთმა მათგანმა მესამე ადგილი დაიკავა.

მეორე ღონისძიება ჩატარდა 2024 წლის სექტემბერში და წარმოადგენდა კონფერენციასა და ვორკშოპს თემაზე "Tourism Potential between Cultural Heritage and National Conflicts", რომელიც ორგანიზებული იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კონსტანცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის (HTWG Konstanz) მიერ. ვორკშოპი გაიმართა ილიაუნის დაბა სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიური ინსტიტუტის ბაზაზე და მასში აქტიურად მონაწილეობდნენ ტურიზმის მიმართულების სტუდენტები.

მესამე მნიშვნელოვანი აქტივობა იყო 2024 წლის მაისში ჩატარებული ერთობლივი კვლევა დედოფლისწყაროს ბიოსფერულ რეზერვატში, რომელშიც მონაწილეობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის მიმართულებისა და ავსტრიის ლანდშაფტის განვითარების, რეკრეაციისა და კონსერვაციის დაგეგმვის ინსტიტუტის (ILAN) სტუდენტები. ამ პროექტის ფარგლებში სტუდენტები გაეცნენ ბიოსფერული რეზერვატის კონცეფციას, შეხვდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისა და ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებს და შეიმუშავეს განვითარების სტრატეგიული რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და გარემოს დაცვის მიმართულებით.

მეოთხე ღონისძიება გაიმართა 2023 წლის დეკემბერში და წარმოადგენდა პირველ საერთაშორისო კონფერენციას "კურორტების მდგრადი განვითარების ტენდენციები და გამოწვევები", რომელზეც მოხსენება გააკეთა ილიაუნის ტურიზმის მიმართულების სტუდენტმა, რომელიც წინა კონკურსში გამარჯვებული იყო. ამ ღონისძიებაზე ასევე მიწვეული იყო ილიაუნის ტურიზმის მიმართულების სამი სტუდენტი.

მეხუთე ღონისძიება იყო 2023 წლის ნოემბერში გამართული სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია "საქართველოს კურორტების მდგრადი განვითარების ტენდენციები და მიდგომები", რომელშიც მონაწილეობა მიიღო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორმა სტუდენტმა. ამ კონფერენციაში პირველი ადგილი დაიკავა ილიაუნის ტურიზმის მიმართულების სტუდენტმა.

ამ დოკუმენტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა აქტიურად უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას სხვადასხვა სამეცნიერო და კვლევით აქტივობებში. პროგრამა თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ გლობალური გამოცდილება და გაეცნონ დარგში არსებულ თანამედროვე ტენდენციებს. კვლევითი პროექტები ფოკუსირებულია ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორცაა მდგრადი ტურიზმი, კურორტების განვითარება, კულტურული მემკვიდრეობა და ეკოტურიზმი. სტუდენტები არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას იღებენ, არამედ პრაქტიკულად

ერთვებიან დარგის განვითარებაში და წარმატებებსაც აღწევენ სხვადასხვა სამეცნიერო კონკურსებში. ეს აქტივობები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტების პროფესიულ განვითარებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ტურიზმის სფეროსთვის.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამა ეფექტურად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, ხოლო მისი პრაქტიკული კომპონენტი კარგად არის ორგანიზებული და დაგეგმილი პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად განსაზღვრავს პრაქტიკული უნარების განვითარების პრიორიტეტულობას. სწავლის შედეგებში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულს შეუძლია ცვალებად ბიზნეს გარემოში ტურისტული სექტორის კომპანიის მართვასთან დაკავშირებულ პროცესებში მონაწილეობის მიღება, ბაზარზე მოთხოვნადი ტურისტული სერვისების, პროდუქტების და პროექტების შემუშავებაში, განხორციელებასა და მართვაში მონაწილეობის მიღება, ტურისტულ საქმიანობაში წამოჭრილი პრობლემების ანალიზი და მათი გადაჭრის გზების ჩამოყალიბება. ასევე, კურსდამთავრებული ავლენს მეწარმეობისთვის საჭირო პრაქტიკულ უნარებს. ეს სწავლის შედეგები პირდაპირ უკავშირდება პრაქტიკული უნარების განვითარებას და შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს, რომელიც ორიენტირებულია როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე.

